



## საქართველოს დასავლური კურსი

დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან, საქართველომ დაიწყო სვლა დასავლეთისკენ რაც მოიცავდა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან და ევროკავშირთან თანამშრომლობას. გარკვეულმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა სირთულეებმა შეაფერხა სვლა დასავლეთისკენ ეს იყო 1992 წლამდე, როდესაც ნატო-საქართველოს ურთიერთობას ჩაეყარა საფუძველი და საქართველო შეუერთდა ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს. ეს ურთიერთობა გაფართოვდა 1994 წელს, როდესაც საქართველო შეუერთდა პროგრამას პარტნიორობა მშვიდობისთვის, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ნატოსა და ინდივიდუალურ პარტნიორ ქვეყანას შორის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება.

განხორციელდა დაგეგმილი 2020 წლის აპრილსა და მაისში „ევროპის დამცველი 2020“. აღნიშნული სწავლება გაიმართა 10 ქვეყანაში, მათ შორის გერმანიაში, პოლონეთში, ლატვიაში, ლიეტუაში, ესტონეთსა და საქართველოში. მსგავსი მასშტაბური სამხედრო წვრთნები ნიშნავს იმას, რომ ჩვენს ტერიტორიას აქვს უდიდესი მნიშვნელობა და, რომ დასავლეთი ჩვენ გვიყურებს როგორც პარტნიორს. მართლაც, ისეთი მასშტაბური სამხედრო წვრთნები, როგორიცაა „ევროპის დამცველი 2020“ არ ჩატარდებოდა არაწევრ ქვეყანაში, რომელსაც პარტნიორად არ თვლი. ეს იმას ნიშნავს, რომ დასავლეთი საქართველოს უყურებს, როგორც საერთაშორისო საზოგადოების ღირსეულ წევრს. ბრიგადის გენერალმა ამირან სალუქვაძემ განაცხადა, რომ ამ პროექტის მთავარი ინტერესი, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: ნატოს აღმოსავლეთ საზღვრების, ასევე პარტნიორი/ასპირანტი ქვეყნების უსაფრთხოების განმტკიცებაა. ეს კი, ბატონი ამირანის შეფასებით, შეუძლებელია შავი ზღვის აუზის უსაფრთხოების გარეშე.

საქართველოსთვის ამგვარი წვრთნები და სწავლებები ძალიან მნიშვნელოვანია, მითუმეტეს თუ თავად საქართველოს ტერიტორიაზე ხორციელდება.

ასეთი პროექტები აძლიერებს ქვეყნის სამხედრო შენაერთებს და ამზადებს მათ პოტენციური საფრთხის თავიდან ასაცილებლად, საქართველოსთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრაქტიკას მათ შორის წარმოადგენდა კიბერთავდაცვა განსაკუთრებით 2008 წლის ომის დროს რუსეთის მხრიდან კიბერთავდაცვის შემდეგ. ამ წვრთნებს ასევე გარკვეული პოლიტიკური დატვირთვაც გააჩნია. პირველ რიგში, ჩვენ ვხედავთ, რომ ამ წვრთნების გამოყენებით ნატო გვადიარებს ალიანსის ღირსეულ პარტნიორად, მეორეც ის გვხმარება გაწევრიანების ერთ-ერთი კრიტერიუმის განხორციელებაში, რომელიც ითვალისწინებს ნატოსთვის სამხედრო კონტრიბუციის გაწევის შესაძლებლობას და კიდევ უფრო გვაახლოებს ალიანსის წევრობას. ასევე ის

გვეხმარება, მუდმივ მოწინააღმდეგეს რუსეთს ვაგრძნობინოთ, რომ საქართველო მარტო არ არის და საჭიროების შემთხვევაში დასავლეთი თავის პარტნიორს მხარში დაუდგება, ფაქტორი რომელსაც შეუძლია უარი ათქმევინოს რუსეთს გარკვეული, ჩვენთვის საზიანო, ნაბიჯების გადადგმაზე.

დღეს ნატოს მხრიდან ასეთი დამოკიდებულება უფრო არსებით მნიშვნელობას იძენს, რადგანაც საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა შედარებით დაძაბულია, ერთ-ერთ მიზეზად შეგვიძლია საზღვრის პრობლემაც დავასახელოთ. ერთმანეთისადმი ასეთი დამოკიდებულების გამო კი არ არის გამორიცხული ურთიერთობის მომავალი ესკალაცია, ამიტომაც ის ფაქტი რომ ნატო ახორციელებს საკმაოდ ფართო მასშტაბის სწავლებებს საქართველოში და შესაბამისად გვადიარებს მის პარტნიორად, ამ რთულ ვითარებაში ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

რაც შეეხება ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობას საკმაოდ ნიშანდობლივად პოზიტიური კუთხით განვითარდა. 2014 წლის ივნისში ევროკავშირმა და საქართველომ ხელი მოაწერეს ასოცირების ხელშეკრულებას. ეს ხელშეკრულება, დრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებასთან ერთად, საფუძველს უყრის საქართველოს ევროკავშირთან შორსმიმავალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტეგრაციას. საქართველოს გააჩნია მზარდი დემოკრატიის და კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების, კარგი მმართველობის და ეკონომიკური განვითარების ამბიციის. ასოცირების ხელშეკრულების ინსტიტუციონალური ჩარჩო ადგენს ორგანოებს, როგორცაა ასოცირების საბჭო განაცხადის საზედამხედველოდ, ასოციაციის დღის წესრიგი კი განსაზღვრავს მისი განხორციელებისთვის საჭირო პრიორიტეტებს.

თავად ასოცირების ხელშეკრულება წარმოადგენს ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის შედეგს, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილს, რომელშიც საქართველო ერთერთია 16 პარტნიორი ქვეყნისგან. იგი აძლიერებს კეთილდღეობას, სტაბილურობას და უსაფრთხოებას გაფართოებულ ევროკავშირსა და მის მეზობლებს შორის. 2009 წელს დაიწყო ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა, რომელიც მოიცავს საქართველოს, გაფართოებულ თანამშრომლობას და ასევე ხაზგასმულია რეგიონის მნიშვნელობა. ისევე როგორც მხარდაჭერი რეფორმები, მუშაობს მოქალაქეთა უფრო მეტი მობილურობისა და ძლიერი ურთიერთთანამშრომლობის მიმართულებით რიგ სექტორებში, როგორცაა ტრანსპორტი, ენერგოსექტორი და გარემოს დაცვა.

ამასთანავე, ევროკავშირი მტკიცედ ერთგული რჩება თავისი პოლიტიკისა საქართველოს თავის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერად, ისევე როგორც რჩება ჩართული აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეგიონების საქმეში, გრძელვადიანი კონფლიქტის მოგვარების პროცესის მხარდასაჭერად. 2008 წლიდან ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია მუშაობს ადმინისტრაციული საზღვრების სიახლოვეს. გარდა ამისა, შავი ზღვის რეგიონში არსებული უფრო ფართო რეგიონალური, ეკოლოგიასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაწყვეტად, ევროკავშირმა ინიცირება გაუკეთა უფრო აქტიურ თანამშრომლობას შავი ზღვის სინერჯის საშუალებით.

ინტერვიუ დონალდ ჯენსენი თავის ინტერვიუში ამბობს : კარგი ახსნა შეიძლება იყოს, რომ ისინი ცდილობენ საგარეო გავლენების დაბალანსებას, რომ ქართველები არ არიან

ბოლომდე ჩამოყალიბებულნი თუ საით უნდა წავიდეს ქვეყანა. ამ ამბავში ცუდი ის არის, რომ შესაძლოა საქართველოს მმართველობის ნაწილი ხალხისგან განსხვავებით არ იზიარებს ქვეყნის დასავლურ კურსს.

ივანიშვილის არჩევნები ვაშინგტონში ბევრს აფიქრებდა, იმიტომ რომ ეს არ იყო ლიდერის რიგითი ცვლა, როგორც ეს მოხდებოდა პოლონეთში ან ჩეხეთის რესპუბლიკაში. ეს დიდი ცვლილება იყო, რაც ერთგვარი მესიჯი იყო იმის შესახებ, რომ საქართველოს საზოგადოება დაყოფილია ქვეყნის ორიენტაციის საკითხზე.

საქართველოს სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მას დასავლეთთან მნიშვნელოვანი თანამშრომლობა აქვს უსაფრთხოების სფეროში, რაც საქართველოს ეხმარება. მოსალოდნელია საქართველომ კიდევ გარკვეული დრო ევროკავშირის ასოცირებულ წევრ ქვეყანაში იცხოვროს, ან ჰქონდეს ნატოს დაპირებული წევრობა, მაგრამ ეს არ მოხდეს. გრძელვადიან პერსპექტივაში კი საქართველოს კურსს მაინც დასავლეთისკენ ვხედავთ.

ამისთვის მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება, რათა მათ გააგრძელონ ქვეყნის დასავლური მისწრაფებებისთვის მუშაობა, სხვა შემთხვევაში იქნება ვითარება, როცა მთავრობაში გადაწყვეტილებებს სხვადასხვა ფაქტორების მიხედვით მიიღებენ და ეს მაინცდამაინც ქართველი ხალხის ნების შესაბამისი არ იქნება.

ვერ გვექნება იმის მოლოდინი, რომ ყველანი შევთანხმდებით, მაგრამ უნდა გვქონდეს მოლოდინი, რომ მთავრობა თანმიმდევრულად იმუშავებს რუსული გავლენების აღმოსაფხვრელად, რათა აჩვენოს დასავლეთის უპირატესობა და ის, რომ რუსეთთან სიახლოვეს სასიკეთო არაფერი მოაქვს.

**ავტორი:ნატა ჯალაბაძე**